№ 269 დეკემბერი 17, კვირა 1889 დეკემბერი 17, კვირა № 269

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას კუკიაში, აჭყალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძველის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.
ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1889 საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1889

სურათებიანი

**„ვეფხის-ტყაოსანი“**

ძვირფასს ყდაში,

გამოცემული

**გ. დ. ქართველიშვილის მიერ**

ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნთ საწყობში.

წიგნში 27 ზიჩისაგან დახატული სურათია, მრავალი განგებ ამ წიგნისათვის შეკვეთილი ჩუქურთმის მხატვრობა და სათაური ასოები, ამოჭრილი პეტერბურგში.

წიგნი დიდის ფორმატისაა და ღირს ტფილისში 15 მანათი.

ვისაც სურს ტფილისს გარეთ დაიბაროს, ფოსტისა და გასაგზავნი ხარჯი უნდა წარმოადგინოს კიდევ ერთი მანათი.

წიგნი იყიდება ტფილისში „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში, ცენტრალურ წიგნის მაღაზიაში და ხიდდეკელის წიგნის მაღაზიაში, ქუთაისში—ძმ. ჰილაძეებისა და ძმ. წერეთლების წიგნის მაღაზიებში.

დაბარება შეიძლება ამ ადრესით.

Въ Тифлисъ. Канцелярія Общества грамотности. Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка. № 102

**ქართული თეატრი**

სამშაბათს, 19 დეკემბერს,

ბენეფისი

მ. მ. საფაროვისა

ქართულის თეატრის არტისტებისაგან წარმოდგენილი იქნება:

ახალი პიესა

**ჟულიეტა**

კომედ. 4 მოქმედ. ფრანგულიდამ

II

**ადვოკატთან**

ვოდევილი 1 მოქმედ.

მოთამაშენი: ქ-ნნი საფაროვისა, გაბუნია-ცაგარლისა, ავალიშვილისა, დიმელი; ბ-ნნი აბაშიძე, გუნია, სვიმონიძე, გედევანოვი, ხუციშვილი, ცაგარელი და სხვ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი 8 საათზე

გამოვიდა და ისყიდება

**საქართველოს კალენდარი**

1890 წლისათვის,

შედგენილი და გამოცემული ვალ. გუნიას მიერ.

ფასი ათი შაური

ვინც ნაღდ ფულად იყიდის 50 ცალს, იმას დაეთმობა მანეთზე ხუთი შაური.

შეიძლება მიჰმართონ «წერა-კითხვის საზოგადოებას» და ტერ-სარქისოვის მაღაზიას, სასახლის ქუჩაზე, ლალაევის სახლში.

ტფილისი, 16 დეკემბერი

აზია, რომელიც ერთს დროს მამა-მთავარი იყო ცივილიზაციისა და რომელსაც დღესაც ევროპიის მეცნიერნი ცივილიზაციის აკვანად ჰხადიან, დიდი ხანია ჩრდილშია მიმდგარი და ეხლა თუ ვინმე ახსენებს ან იმისთვის, რომ—როგორ და რა გზით გამოვწოვო მისი ხელ-უხლები სიმდიდრეო, ან იმისთვის, რომ ხელთ იგდოს მისი რომელიმე მხარე და ყურ-მოჭრილ ყმად იყმოს იმ მხარის მემკვიდრენი ისევ, რასაკვირველია, გამოსაწოებლად და მოსაწველად. მეცნიერებით, ხელოვნებით, ხელოსნობით შეჭურვილმა და ძლევა-მოსილმა ევროპამ პირში ჩალა გამოავლო ამ მოხუცს ქვეყანას, რომელიც ერთს დროს მთელის ქვეყნის ბედის წარმატებას სათავეში ედგა, და ეხლა იმ ქვეყნის შვილობა, სად პირველ ფეხი აიდგა ცივილიზაციამ და საიდამაც მისი შუქი მთელს ცასაქვეშეთს პირველ მოეფინა, სამარცხვინოდ მიაჩნიათ უფრო, ვიდრე სასახელოდ. ეხლა აზიელობა უფრო საბიაბრუო სახელია, ვიდრე თავ-მოსაწონებელი.

ესეც უნდა მომხდარიყო. ისტორია და წარმატება იმისი-კი არ არის, ვინც მარტო თავის თავის ავკარგიანობას შეჰხარის, ვინც მარტოდ დღევანდელობას—ავია თუ კარგი—ჰკმარობს, ვითარცა ხელ-შეუვალს რასმე ანდერძს მამა-პაპეულს, არამედ იმისია, ვინც მას არა ჰკმარობს, რაც დღეს არის და ვისაც დღევანდელობა მარტო ხიდად მიუჩნევია ხვალისათვის და არა ბინად, საცა კაცმა თავი უნდა შეიკეტოს, როგორც სამუდამო სადგურში, სამუდამოდ გულზე ხელ-დასაკრებად და მოსასვენებლად. ტყუილად-კი არა სთქვა ტურგენიევმა, რომ ეს ქვეყანა ტაძარი-კი არ არის, საცა კაცი უნდა ჰლოცულობდეს, არამედ სახელოსნოა, საცა უნდა ირჯებოდეს და ჰმუშაობდესო.

ისტორია და წარმატება მარჯვესი, გამრჯესი, მხნესი და მერმისისათვის მებრძოლის კუთვნილია. ამისთანად აღმოჩნდა ევროპიელი და ბურთი და მოედანიც იმას დარჩა. იგია დღეს გამგებელი ქვეყნიერობისა, იგია დღეს ქვეყნის უღლის მწეველი და იგივეა ქვეყნის სიკეთის მკრეფავი და პატრონიცა. ამა ქვეყნის მადლის თაფლსა მარტო ევროპიელი-ღა იღებს ქვეყნის სკისაგან, რომელსაც ხან იქით უბრუნებს პირს, ხან აქედ იმისდა მიხედვით როგორც და საითაც უჯობს, რადგანაც ამისათვის ბარიც ხელში აქვს და ნიჩაბიც, ესე იგი, მეცნიერება და მხნეობა, ჭკუა და ხელი. ამ მეცნიერებასა და მხნეობას, ამ ჭკუასა და ხელს ამოქმედებს დაუღალავი წყურვილი ხვალის უკეთესობისა და მწვავი უკმარობა დღევანდელობისა. ამ ორ გრძნობათაგან წარმოსდგება ის ძლევა-მოსილი წინ-მსვლელობა, ის დიადი წარმატება, რომელიც ყარამანსავით ყაფის მთას მხრებზედ დაიყენებს, რომ ქვეშ ჯარმა მშვიდობით და უწყინარად გაიაროს.

რამ დაჰმართა ეს ამბავი აზიას? რამ დაუხუთა მუხლი მსვლელობისა და ერთს დროს წინ-მავალი ქვეყანა, ეხლა ასე უკან რამ დააყენა? იმან თუ—რომ თავისი საკუთარი ძარღვები დააწყდა, თავისი საკუთარი საგზალი წინ-მსვლელობისათვის შემოაკლდა, თუ სხვა რამ მიზეზმა მოსჭრა სულიერი და ხორციელი მუხლი, ამის გამოძიებას ჩვენ არ შევუდგებით. ეს-კი აშკარაა, რომ მისი წარმატება შესდგა, შეჩერდა და აზია დღევანდელს დღეს ანგარიშში მოსატანი არ არის, როცა ქვეყნის წინ-მსვლელობაზე ვლაპარაკობთ. ამასთან აზიის უბედურება ის იყო, რომ ეს შედგომა, შეჩერება თითქო ვერ იგრძნო, ვერ იცნა, პირ-იქით,—რაცა ჰქონდა სასულიერო თუ სახორციელო, იმას დასჯერდა და თავ-მოწონებული შეჰხაროდა, თითქო იმაზე უკეთესი სხვა აღარა ეგულება-რაო ქვეყნიერობაზედ. ამით კმაყოფილმა თავი ცალკე შეიკეტა და გარედამ აღარ მიიკარა არც ამაყვავებელი შუქი მზისა, არც გამაცოცხლებელი სიო. ამ ყოფაში ჩავარდა ჩინეთი, მისი მიმყოლი იაპონია, რომელთაც არავინ აღარ მიიკარეს და ამისათვის მაკარი ზღუდე შემოავლეს თავის არე-მარეს. თითქმის ამ ტყუილს თავ-მოწონებასა და კმაყოფილებას მიეცა სპარსეთიცა, საცა სასულიერო წოდებამ მოსლემინებისამ შეჰკრა და შეჰბოჭა გონება და გული მთელის ერისა და თვალები აუბა იმდენად, რომ თავისზედ უკეთესს სხვას არავის ჰხადიდა.

დღეს ესე ნებიერად და ტყუილ თავ-მოწონებით ყოფნა შეირყა თი-

## ფელეტონი

### ორი სამყარო

I

იქაა ჩემი სამყარო,
სად გაზაფხული ირთვება,
სად დილის ნამი ფოთლებზედ
მოედებ-მოეზვირთება,
სად ერთად მუსაიფობენ
ფოთოლ-ნიავი და წყარო,—
იქაა ჩემი სამყოფი,
იქაა ჩემი სამყარო.
როცა მზე მოჰაბუკდება,
თავს გადმოჰლიმებს მდელოსა
და მწვანით მორთავს, მოჰკაზმავს
ჩემს ძვირფასს საქართველოსა,
როს ია, თავ-ქვე მოხრილი,
ეაშიყება ნიავსა,—
მეც იქ ვარ მათებრ დამტკბარი
და მათს კალთაში მძინავსა.
მთვარიანს ღამეს მე მატკბობს
სასაიდუმლო წამები,
წყნარად სცემს გული ნაგრძნობით
დანაბნედ-დანაამები,
შორს იადონი გასძახის,
მეც მისებრ ვმღერი გრძნობითა
და სულით ვსხვავობ, თუმცა-კი
კაცს ვგავარ გარეგნობითა.
წარმომიდგება თვალის წინ
ბუჩქნარი ყვავილიანი,
შიგ კეკლუცობენ ვარდები
და თავ-ჩახრილნი იანი;
მათ შორის ქალი მღიმარე,
არ ქვეყნიური, ციერი,
დადის და ჰხიბლავს მთას და ბარს
იმის შვენება ძლიერი.
ფეხებზედ მარგალიტებად
ცვარები ეპკურებიან
და ფიანდაზად ყვავილნი
იმას ქვეშ ეფინებიან,
ის მათზედ დადის ალვისა
ტანის რხევით და მოხდენით,
და მთანი ცამდე ასულნი
მას გადმოსცქერენ მოლხენით.
გადაშლილ-განიერ მკერდზედ,
ქალწულობისა შემკობნი,
ამოზიდულან და სხედან
ორნი ლამაზნი კოკობნი;
ერთი მეორის აშიყით
ისინი ჰფეთქენ, კრთებიან,
მაგრამა დასაკოცნელად
ერთმანეთს ვერა სწვდებიან.
მას მთვარე ზეცით გადმოსცქერს,
სხივებს ჯგუფ-ჯგუფად მკერდს აფენს
და სხივი კოკბებს მოქანცვით
დაჰხარის, დასტრფის ზედ, ალხენს.
მაღალ ყელ-კისერს ეხვევა
ეშხით დამთვრალი ნიავი,
ეს ყვავილთ ცელქი აშიყი,
შორით-შორს მიმომფრინავი.
გაბადრულ ლაწვზედ მიმოდის
დამშვენებელი ელ-ფერი,
შარავანდედად შუქს აფენს
გარე-მიდამოს ეს ფერი;
შავს დიდს თვალებში გუბედ სდგას
საამო ეშხით მორევი,
ძალი დამძლევი უძლევთა,
ფოლადი გულის მომრევი.
ვარდის ფერს ტუჩზედ აჯდია
იმის ღიმილი ნეტარი,
ღიმილი სასუფევლისა,
დამწვარ გულისთვის ნექტარი.
გოჯის ოდენი წამწამნი
დანავარდობენ, კრთებიან,
და ვარსკვლავთ სხივნი ელვარნი
მათ გუნდად ეკიდებიან.
მე მას შევსცქერი მდუმარე,
გულ-მოხიბლული, დამტკბარი,
სულს ალხენს ესე სურათი,
ვით ბავშვის გრძნობას ზღაპარი.
რასაც მიბრძანებს—ვასრულებ,
მე ყმა ვარ მისი მუდმივი,
და იგიც ჩემთვის არ არის
უმადური და გულ-ცივი.
აქაა ბინა ოცნების,
ფანტაზიისა სამყარო,
მხურვალე ფიქრებს რომ ჰბადავს,
აქ მოსჩქეფს მუდმავ ის წყარო.
მეც ამ სამოთხის შვილი ვარ,
აქ ვიმხურვალებ გრძნობასა,
დრო-დროს ვიცვლები და ვკარგავ
საამქვეყნიო ცნობასა.

II

იქაა ჩემი სამყარო,
სადაც გრიგალი ღრიალებს
და შემოდგომის ფოთოლი
უგზო-კვლოდ ცაში ტრიალებს,
სადაც დგებიან საწყლისთვის
წამები საგლოვ - საზარო,—
იქაა ჩემი სამყოფი,
იქაა ჩემი სამყარო.
ღარიბთა სამფლობელოში
მიყვარს მე სვლა და გარება,
იმათის მწარე ბედ-იღბლის
კალთით ზიდვა და ტარება;
მეც იმათ ცრემლთან ცრემლი მდის,
მათს ჭირს ვსთვლი ჩემდა ჭირადა,
თავი მაქვს მაშინ იმათთვის
სამსხვერპლოდ, გასაწირადა.
შემოდგომის დღე, როდესაც
ჰქრის ქარი გამძვინვებული
და მწარე ზამთარს მოელის
ობოლი გაჭირვებული,—
მეც იმასავით ვფიქრდები,
მისებრ გულს მოვიმგლოვარებ
და მხურვალ გრძნობებს წინდაწინ
შავ ნაღვლით მოვიმთოვარებ.
მომეჩვენება თვალის წინ
გაჭირვებულთა გროვანი,
იმათი ტირილ-ქვითინი
და გულ-საკლავი გლოვანი;
გულს მიწვავს კვნესა მშიერის
და მწარე ცრემლი ობლისა,
და ვნანობ მაშინ, რათა ვარ
მე შვილი ამა სოფლისა.
მომელანდება მე გმირი
ბორკილ-შეყრილი, დაბმული,
ხალხის უფლების დაცვისთვის
ულვთოდ მახეში გაბმული;
ლამობს ის ჯაჭვის დალეწვას,
იბრძვის და იმტვრევს ხელებსა,
და მე-კი მასთან გონებით
ვარ და ვღვრი უძლურს ცრემლებსა.
ყოველ ნაირი ნაღველი,
გლოვა და მწუხარებანი
თვალ-წინ მიდგიან და მომდის
ლაწვებზედ მდუღარებანი.
და აქ, სად მეფობს და მკაცრობს
ეს გლოვა გულის გამყოფი,
დაწესებულა და არსებს
ჩემი ბინა და სამყოფი.

ცახელი

მოსკოვი

◆◆

### შავი-ქვა

(დასასრული*)

ერთხელ ვილაც ბორდოელი ვაჭრები მოსულიყვნენ ჩვენში, დაეთვალიერებინათ ადგილობრივ, გაესინჯათ

*) იხ. „ივერია“ № 257.

თქმის მთელს აზიაში. აზიამ თვალ-და-თვალ დაინახა უპირატესობა ევროპისა, იგრძნო, რომ ევროპა გაცილებით წინ წასულა, უფრო მდიდარია, უფრო ბედნიერია, უფრო ბევრის სიკეთისა და მადლის მპყრობელია, უფრო ძლიერი და ღონიერია და აქამომდე დაკეტილი კარი თავისის ქვეყნებისა ცოტად თუ ბევრად გაუღო ევროპას, რომ იქაურმა მზემ თავისი შუქი ცოტად, თუ ბევრად აქაც მოაწვდინოს. ასე იქცევა დღეს ჩინეთიც, იგი ჩინეთი, რომელიც ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო ძლიერ ეურჩებოდა ევროპიდამ შუქის შემოსვლას და მოფენას და სადაც დღესაც ეს ახალი მიმართულება შიშითა და კრძალვით ფეხს იკიდებს ცოტ-ცოტად და ფრთხილად, რადგანაც იქაური ერის უფროს-ერთობა მაინც ურჩობს და ჭოჭმანობს სხვისაგან ჭკუის სწავლებას, სხვის ცივილიზაციას, სხვის ავ-კარგიანობას.

იაპონია ამ მხრით უფრო გაბედულად იქცევა. მისი ახალი ხელმწიფე დიდი მომხრეა ევროპიის განათლებისა და ჭკუის დაუცხრომელად უყვარდა ევროპიული, ნამეტნავად მართებლობა და გამგებლობა ქვეყნისა, ევროპიის წესსა და რიგს შეუფერობს. დღეს იაპონიას ბევრი ევროპიულად განათლებული, ევროპაშივე სწავლა-მიღებული ახალგაზრდობა ჰყავს, შინაც დიდად მოცადინენი არიან სწავლისა და განათლებისათვის. მწიგნობრობა ცოტად, თუ ბევრად ფრთა ასხმულია და გავრცელებული და ვინ იცის—იქნება იაპონიამ პირველი მესვეურობა გაუწიოს აზიას ევროპიის ცივილიზაციის ზედ-მოქმედების ქვეშ წარსამატებლად და განთიადმა განათლებისამ თავისი სხივოსანი შუქი პირველ იქიდამ მოჰფინოს მთელს აზიასაცა. ამბობენ, იაპონელი ამისათვის არც ნიჭს არის მოკლებული და არც უნარსაო.

არც სპარსეთი დარჩა უიმისოდ, რომ ევროპის ცივილიზაციისათვის კარი არ გაეღო. ეხლანდელის შაჰის მეფობის დროს ბევრს ძველს ჩვეულებას, რომელიც სულსა და ხორცს სპარსეთისას ასე თუ ისე ჰხუთავდა, კბილი მოეჭრა. შაჰმა, რომელმაც რამდენჯერმე მოიარა ევროპა, ბევრს რასმეზე აახილა თვალი და დაინახა თავის ქვეყანაში ბევრი უმსგავსობა და შეუფერებლობა. იგი სცდილობს ბევრი რამ ძველი განსდევნოს, ბევრი რამ ახალი შემოიღოს. ამისათვის იგი თურმე არც იმის წინაშე უკუდგება, რომ თავისი ნება-უფლება შეიხუთოს, თუ ამას მოითხოვს ქვეყნის სიკეთე და ბედნიერება. ამ ახალს მოძრაობაზე სპარსეთისაზედ უფრო ვრცლად საჭიროა საუბარი და ამიტომაც შემდეგისათვის გადავსდეთ.

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 16 დეკემბერს, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში საჯაროდ გასასყიდად ჩაერიდა ქალაქის მამული შვიდი და სოფლისაც შვიდი. ამათგან გაყიდულ იქმნა ქალაქისა ორი და სოფლისა სამი, გაუსყიდველად დარჩენილი მამულები ქალაქისა ხუთი და სოფლისა სამი გადიდვა ხელ-ახლად გასასყიდად 30 დეკემბრისათვის.

*** სამშაბათს, 19 დეკემბერს, დანიშნულია ქართულს თეატრში ბენეფისი არტისტ-ქალის მ. მ. აბაშიძე-საფაროვისა. საფაროვის ქალი იმ არტისტების გუნდს ეკუთვნის, რომელიც ეს ათი წელიწადია ერთგულად და მხნედ ემსახურება ქართულის თეატრის საქმეს. ნიჭს გარდა, ამ არტისტ-ქალს სხვა ღირსებაცა აქვს: რა როლსაც-კი მოჰკიდებს ხელს, უთუოდ სინიდისიერად შეისწავლის და ისე, მოუმზადებლად არ გამოვა საზოგადოების წინაშე. გარდა ყველა ამისა, ქ-ნი საფაროვისას ერთი კარგი ჩვეულება აქვს კიდევ, და კარგი იქნებოდა, რომ სხვა ჩვენს არტისტებსაც მიეღოთ წესად ეს ჩვეულება: თავის ბენეფისში ყოველთვის სცდილობს საზოგადოებას გააცნოს ახალი რამ პიესა. აი ეხლაც შეუმზადებია, თუმცა ნათარგმნი, მაგრამ, როგორც გვითხრეს, შინაარსიანი და კარგის ენით დაწერილი, პიესა „ჟულიეტა“. ამას გარდა ითამაშებენ კიდევ ვოდევილს „ადვოკატთან“. ეს ვოდევილი მარტო ერთხელ არის მხოლოდ ნათამაშევი ჩვენს სცენაზე და ძალიან მხიარული ვოდევილიც არის. როგორც ნიჭი ჩვენის არტისტ-ქალისა, ისე ის სამსახური, რომელიც ამ არტისტ-ქალს მიუძღვის ქართულ თეატრის წინაშე, სრულს იმედს გვაძლევს, რომ საზოგადოება პატივსა სცემს და ღირსეულად დააჯილდოვებს იმის მოღვაწეობას.

*** ჩვენ შევიტყვეთ, რომ ქუთაისში, ერთის პატივცემულის კაცის თაოსნობით, შეუგროვებიათ რვა თუმანი ფული წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სკოლის სასარგებლოდ. ფული უკვე გაუგზავნიათ დანიშნულებისამებრ.

*** ტფილისში ძლიერ არის ამ ჟამად გავრცელებული ავადმყოფობა ფილტვების ანთებით. აქა-იქ ყელჭირვებაც დადის.

*** ქვემო - მაჩხაანი: აქაურს მღვდელს ე. მენთეშაშვილს მოუღია მთავრობის ნება-რთვა გამართოს ქვემო მაჩხაანში საწყობი ქართულის წიგნებისა. დღეის შემდეგ ამ საწყობში თითქმის ყოველ-გვარი ქართულის წიგნის შოვნა მოხერხდება. აქამდე მთელს სიღნაღის მაზრაში წიგნთ-საწყობი თითქმის არსად არ იყო და სულ უბრალო ქართული წიგნი რომ გვდომებოდათ, ტფილისიდამ უნდა დაგვებარებინათ. ეხლა აღარც მიწერ-მოწერა, აღარც ერთი, აღარც მეორე, მსურველს წიგნები თითქმის კარ-წინ ექნება, მივა და იყიდის.

*** გორი: დეკემბრის დამდეგს ჩვენს სამოქალაქო სასწავლებელში ზედამხედველის მოწოდებით შეიკრიბნენ შეგირდების მშობლები სხვა-და-სხვა სასკოლო საგნის გამო მოსალაპარაკებლად. სხვათა შორის ყურადღება მიაქციეს იმ გარემოებას, რომ შეგირდებში ბევრი მეტად ღარიბია, ტანთა და ფეხთ რიგიანად არ აცვია და შემწეობაა იმათთვის საჭიროო. თვით შეძლებულ შეგირდების მშობლებმა უნდა იზრუნონ, რომ იმათის შვილების ამხანაგები გაჭირებაში არ იყვნენ, რადგან გაჭირება და სიღარიბე ბევრს ბოროტებასა ჰბადებს, აჩენს ავადმყოფობასა და მოარულებს, რომელიც მერე ყველას ედებაო. დამსწრეთა შორისვე გამოჩნდა ერთი კაცთ-მოყვარე, რომელმაც ოთხის ღარიბის შეგირდის შემოსვა თავად იტვირთა თავის ხარჯით.

*** ბათუმი: ამ სამ-ოთხის თვის განმავალობაში ბათუმში არ დარჩენილა ქუჩა, რომ რამდენიმე შენობა არ დამწვარიყოს, ხოლო უკანასკნელი ცეცხლი, რომელიც გაჩნდა ამ დეკემბრის 12, განთიადისას, საშინელება რამე იყო. გადიწვა ერთბაშად 15 მაღაზია, საქონელიცა და შენობაც, რომელიც საკუთრებაა ბ-ნ ქურთოღლისა და სრულიად დაზღვეული იყო. ცეცხლის ხშირად გაჩენით ბათუმს კაცი ველარ იცნობს, ისეა მინგრეულ-მონგრეული სახლები და მიმწვარ-მომწვარი აქაურობა.

*** გაზ. „Нов. Обоз.“-ი ამბობს, რომ ტფილისის სადგილ - მამულო ბანკს განუზრახავს შეეწიოს წინამძღვარიანთ სამეურნეო სკოლას, რომელსაც ამ დღეებში დიდი ზარალი მისცა ცეცხლმაო.

*** 12 დეკემბერს ვერის ხიდეზე პოლიციის მესამე ნაწილის ბოქაულის თანაშემწემ სოფრონმა შეიპყრო შორაპნის მაზრის გლეხი სოლომონ ცერცვაძე, რომელიც დღემდე იმალებოდა და რომელსაც ჰბრალდებოდა კაცის-კვლა. ამასვე ჰქონდა გადაწყვეტილი სხვა-და-სხვა დანაშაულობისათვის კატორღა.

*** 12 დეკემბერს, ღამე, პოლიციის მეოთხე ნაწილში თ. ბებუთაშვილის სახლიდამ მოიპარეს 400 მან. სხვა-და-სხვა ნივთი და ავეჯი. ეჭვი აიღეს იმერელ ოქრო ლებანიძეზე, რომელიც პოლიციამ შეიპყრო. დანაკარგი აღმოჩნდა. გამოძიება სწარმოებს.

# ნაკვესი

ძველის „დროებიდამ“ დახსომებული.

ქხლანდელს ქართულს ოჯახში ანბანის მოსწავლე ბავშვი დაჯდება მოაჯირზე და ხმა მაღლა კითხულობსო:

შ. უ. ჯ.

ესე იგი შინ ურ ხარო!

ლელო

## ალ. ჯაბ—რის პასუხად

წარსულს ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა ტეობალდო ჩიკონის ოთხ-მოქმედებიანი დრამა წარმოადგინა: „გზა-დაკარგულნი ცხოვარნი“, ა. ჯაბადარის მიერ თარგმნილი რუსულიდგან. ეს თარგმანის თარგმანობა, მერე ისიც ხელ-შეუხებლად, არაფრად გვეჭაშნიკა ჩვენ და აი რა ვსთქვით: „ეს ტეობალდო ჩიკონის პიესა განსვენებულმა რუსის დრამატურგმა ოსტროვსკიმ გადმოაკეთა, სულ ერთიან გადაარუსულა, და ბ-ნ ა. ჯაბადარს ხელ-უხლებლად გადმოუთარგმნია ქართულს ენაზედ. მართალია, ნიჭიერი ოსტროვსკი კარგად გადმოაკეთებდა, მაგრამ ჩვენს მთარგმნელს რომ ან დედნიდგან გადმოეღო, ან რუსული ერთიან გადმოექართულებინა, სწორედ უკეთესი იქმნებოდა, მით უმეტეს, რომ ამ პიესას ადვილად შეიძლება მწერალმა ქართული ელ-ფერი დასდოს. მაშინ ქართველი საზოგადოება სიამოვნებით მოისმენდა პიესას და ამას გარდა ყურს აღარ ესამუშებოდა უალაგო ალაგას ჩაჩხირული სიტყვები: „ვოლგას ნაპირებზედ“. . „ჟუკორონკოვი და ზიაბლიკოვი“, განსვენებულ ოსტროვსკის მიერ გამოგონილი გვარები და სახელები“.

ხო, მხოლოდ ეს ორიოდე სიტყვა ვსთქვით მაშინ, მაგრამ თურმე ორიოდე სიტყვაც

---

შავი-ქვა და დაღალულ-დაქანცულები მოგვადგნენ კარზე. ჩვენ ჩვეულებისამებრ პატივი ვეცით უცხო სტუმრებს და მოუსვენეთ იმ ღამეს სასტუმროში. შუაღამე გადასული იყო, რომ რაღაც უცნაური ხმაურობა შემომესმა იმათ საწოლიდგან და თანაც მამიჩემის ხმა გავარჩიე: „რას შვრებით? როგორ გეკადრებათო?“ და სხვანი!.. შევიჭერი საჩქაროდ მეც და რა გამოდგა: თურმე ფრანცუზებს ძილი გასტეხოდათ. ჩამოეგდოთ საუბარი სხვათა შორის პოლიტიკაზე, ველარ შეთანხმებულიყვნენ და მოსვლოდათ ხმა-მაღალი ლაპარაკი. მამაჩემს გაჰკვირვებოდა იმათს ხმაურობაზე და რადგანაც მათი სიტყვა არ ესმოდა, ჩხუბობენო ჰგონებოდა და გასაშველებლად შესულიყო. სტუმრებიც, უდროო-დროს მათთან შესული მასპინძელი რომ დაენახათ, და ისიც უცნაურის ტანისამოსით, შემკრთალიყვნენ და აღარ იცოდნენ რა უნდა ექნათ?.. რომ მაღალი სახლი არა ყოფილიყო, ვგონებ იკადრებდნენ ფანჯრიდგან გადახტომას. ეს რომ გავიგე, სიცილი ამიტყდა... ბაზელმა და პონშარმაც, ამ გვარებისანი იყვნენ, სიცილით მოიხადეს მამაჩემთან ბოდიში, მაგრამ მოხუცებულ მასპინძელს-კი ეუცხოვა და ველარ მოიბრუნა გული: „რა დროს პოლიტიკაზე ლაპარაკია და ისიც ამ სიშორესო?.. მე-კი გული გადამიტრიალეთო-და?..“ უპასუხა ძალდატანებულის ღიმილით.

მერე მე მომიბრუნდა და მითხრა: „შვილო, ეს სულ შენგან მიპირდეს! ღმერთი! რჯული! ეს შავი-ქვა ჩვენ ხეირს არ დაგვაყრის და ერთხელაც იქნება უხიფათოდ არ ჩაივლის!.. ამითი გავათავეთ იმღამინდელი ახირებული შემთხვევა. მეორე დღეს დილაადრიან შემოვიდა ჩემს ოთახში მამაჩემი და მითხრა: ის ფრანცუზები, გათენდა თუ არა, ბაღში წავიდნენ და ვაითუ, ი რაღაცა დუელი უქნიათ, ის გამართონ და ერთი უბედურება მოახდინონო. ჯერ კიდევ არ გავთავებინა საუბარი, დავინახეთ ფანჯრიდგან, რომ ისინი ორივე ხელი-ხელ გამოყრილი მეგობრულად დაბრუნებულნი მოდიოდნენ!.. შემოვიდნენ ჩვენთან, მოგვესალმნენ და ჩვეულებრივის ზდილობიანობით ბოდიში მოიხადეს მამაჩემთან წუხანდელ შემთხვევის გამო: „არ გვეგონა, თუ თქვენც ისე ახლოს ბძანდებოდით და გესმოდათ ჩვენი ბაასიო!..“ იმათმა ზდილობიანობამ მამაჩემს გული მოუბრუნა: „ღვთის მადლმა, არ ყოფილან ესენი ურიგო კაცებიო“. და თითონაც ალერსითა და ბოდიშით უპასუხა: მეც-კი უკაცრავათა ვარ, რომ უცბად შემოგეჭერით, მაგრამ ერთხელვე შეშინებული ვარ უცხოელ სტუმრისაგანო და მისი ბრალი იყოო. მაგრამ, მართალი უთქვიათ: „ერთის ხისაგან ჯვარიც გამოვა და ბარიცო! ხალხიც ყოფილა და ხალხიცაო... მე-კი ჯერ თქვენ ქვეყნელი სტუმარი. არა მყოლია და თქვენც იმისთანა ტუტუცი მეგონეთ, როგორც ის ერთი უცხო ქვეყნელი, ლუბერნატორმა რომ გამომიგზავნაო, სთქვა სიცილით და მოაყოლა: ამ ათის წლის წინად გენერალ-გუბერნატორს გამოეგზავნა ჩემთან ერთი ვიღაც უცხო ქვეყნელი!.. „მეცნიერი კაცია, ჩვენის ქვეყნის გამოკვლევა უნდა, ბუნების გამომძიებელია და მიიღე, ხელი შეუწყვეო“. მაშინვე-კი მკრა რენჩხად გულზე და ვსთქვი: როგორ თუ ბუნების გამომძიებელიო? ღვთის გაჩენილსა და გამართულ ბუნებას რაღა გამოძიება ეპირვება? მე გეტყვი, წუნს ვინმე დასდებს-მეთქი! ვფიქრობდი, მაგრამ მიღებით-კი მაინც მივიღე. სწორედ მოგახსენოთ, ამხელა კაცი დავბერდი და ჯერ იმისთანა ახირებული სტუმარი, არა თუ არ მინახავს, ამბადაც არ გამიგონია. მისგან არც გამარჯობა და არც გაგიმარჯოს. იყო თავისთვის გაბერილ-გაბუტული, თითქო ბუზადაც არავინ მიაჩნიაო, მაგრამ ნამდვილს ბუზებს-კი ძალიან დასდევდა. დილიდამ საღამომდე სულ ტყე და ველში იყო. ყვავილებსა ჰკრეფდა და ჭიებს იჭერდა. არც იცინოდა, არც ხმას იღებდა, თუმცა თარჯიმანი ერთის მაგიერ ორი ეხლდა. ხანდახან წამოიძახებდა ხოლმე: “იაI იაო!“ თითქო პატარა ყმაწვილს აბოდებსო, და ან «ნეინ-ნეინო!», თითქო ღორებს უძახისო. ამის მეტი მისის პირიდგან არა ამოდიოდა-რა! ექვსი დღე დარჩა ჩემსას, მაგრამ ისე-კი მომაბეზრა თავი, რომ ექვსი საუკუნე მეგონა. აბა-კი რა სასიამოვნოა მისთანა სტუმარი, რომელიც მგლოვიარე ჭირისუფალსა ჰგავს? წასვლის დროს პატივი ვეცი და მოვიწვიე დიდ-ძალი ხალხი. სუფრა გავეთ გავშალეთ. კარგი დღე იყო. ის, როგორც საპატიო სტუმარი, თავში დავსვით და გაიმართა ლხინი. ის მაინც სულ იბღვირებოდა. ბოლოს, როდესაც იმას სადღეგრძელოსა ვსვამდით, აიღო თავი მაღლა, წამოვარდა უცბად ზეზე, გავარდა მინდვრად, ხან იქით გარბოდა და ხან აქეთ!.. ღმერთმა ისე თქვენი მტერი შეაწუხოს მე, მაშინ შევწუხდი, და მოწვეულებსაც დამწარდათ ლხინი. ვიფიქრე: „ვაჰ, გამიწყრა ღმერთი და სტუმარი გადამერია-თქო“... გამოუყენე მსახურები, რომ არსად გადაჩეხილიყო, და რა გამოდგა: თურმე ის, ხატის პეპელა რომ არის, ჭრელი, იმას გამოსდგომოდა დასაჭერად... ამ შემთხვევამ დიდი უსიამოვნება გამოიწვია. ისეც არ იყო ალერსიანი სტუმარი და მაშინ ხომ სულ კოლოტიით გაიბერა. აღარც ბოდიში, აღარც ალერსი, არაფერი აღარ გაგვივიდა იმ დალოცვილთან. ჯავრობდა: „ხელი რად შემიშალეთ და იმისთანა პეპელა გამაშვებინეთო!“ ვეუბნები: «ბატონო, ფილოსოფოსს გეძახიან, როგორ გეკადრებათ პეპლების დევნა, ეგ ხომ ბავშვების საქმეა!..» მაგრამ აჰ, არა ჰქნა, არ მოიბრუნა გული და აღარც-კი გამოგვეთხოვებია, ისე წავიდა გაწყრალი. ქუთაისში რომ ჩავედი, ერთის წლის შემდეგ გუბერნატორმა მკითხა სიცილით, იმ კაცს: მე რომ გასტუმრეთ, რა უყავით მისთანა, რომ ასე გაჯავრებით გიხსენიებთ აი ამ წიგნშიო, გადაშალა რაღაც წიგნი და წამიკითხა: იქ, თავის მოგზაურობის აწერაში, იმ ახირებულს კაცს ცუდად მოეეხსენებიე და სხვათა შორის იმას იხსენიებდა, რომ პეპლა გამაშვებინესო. აბა მე თუ გინდა გამლანძღა პატივისცემის სამაგიეროთ! რა გაეწყობა. კაცია და გუნებაო, ნათქვამია, მაგრამ პეპლას დაჭერა რაღა დასატრაბახებელი იყო. ჩვენში ყურეზით დათვს იჭერენ და ისიც არაფრად მიაჩნიათ.

ამ მუსაიფის დროს მოხუცებული ბაზილი ძლივს იჭერდა სიცილს, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საკმარისი ყოფილა, რომ ალ. ჯაბ-რის პასუხი გამოეწვია. ჯ—რი თავსა მართლულობს გაზ. „თეატრის“ მე-43 და 44 №-ში, „სიტყვები „ვოლგას კიდეებზედ“ ორ შესაფერ და საჭირო ადგილას არის ნახმარები და ისე დაშორებით ერთმანეთზე, რომ ყურს არ უნდა ეხამუშებოდესო. ეს ნაკლი თუ არის, ისევ ოსტროვსკისა და არა მთარგმნელისაო. რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა ქართველის ყურს «ვოლგის» მაგივრ დ „იორი“ ჰსმენოდა, ან კავორონკოვისა და ზიაბლიკოვის მაგივრად ტოროლაძე და ნიბლიაძე ყოფილიყო.. მაგრამ არა მგონია პიესას გვარის გადმოკეთებით ღირსება მიეცეს: ჰამლეტი ჰამლეტადვე რომ რჩება თარგმანში, ხლესტაკოვი ხლესტაკოვად, ვითომ რა უშლის პიესას?!. თუ გმჯობინებოდა, ჰამლეტის მაგივრად კაკულა ყოფილიყო ან ლირის მაგივრად ყაფლანი?“

პატივცემულს მთარგმნელს უნდა მოვახსენოთ, რომ თუ სიტყვა თავისდა თავად ყურის სახამუშებელია, იმას შესაფერი და საჭირო ადგილი აღარ მოეპოვება. მაგ ნაკლის ბრალს ტყუილად სდებთ ოსტროვსკის. პირ-იქით, ოსტროვსკი ძალიან კარგად მოიქცა, რომ გადაარუსულა პიესა, რუსულს გემოვნებაზედ შესცვალა ეს ნაკლი-კი არა, ღირსებაა, და თუ ნაკლად შეიქმნა, მხოლოდ მაშინ, როცა ქართველს საზოგადოებას ჯიგონის პიესა დაანახვეთ, მაგრამ რუსულად შენელებული და შეზავებული, მერე ისეთის ნიჭიერის მზარეულის ხელით, როგორიც ოსტროვსკი იყო. საკვირველია, ღმერთმანი, თუ ოსტროვსკიმ გადმოარუსულა, ჩვენს მთარგმნელს რა ცოდვად ჩაეთვლებოდა, რომ გადმოექართულებინა?! თუ მაინც-და-მაინც გადმოქართულება არ უნდოდა და ხელ-უხლებლად ჰსურდა გადმოეღო, გადარუსულებულ თარგმანის თარგმნა რაღად უნდოდა, ზარემ თვით დედანს გადმოიღებდა ქართულად. თუმცა ბ-ნი ჯაბ—რი სასაცილოდ იგდებს, რასაკვირველია, უკეთესი იქნებოდა კავორონკოვი და ზიაბლიკოვი ტოროლაძედ და ნიბლიაძედ ყოფილიყვნენ და „ვოლგა“ იორადაო, მაგრამ ჩვენ-კი უნდა ვსთქვათ, რომ დიახ, სწორედ უკეთესი იქნებოდა, რადგან პიესა მაგ გადაკეთებით თუ არ გაუკეთესდებოდა, არას დააკლდებოდა-რა. სწორედ ამიტომაც გადაარუსულა ოსტროვსკიმ და ძალიან კარგადაც მოიქცა.

ჰამლეტს რომ კაკულა დაარქვას ვინმემ და ლირს—ყაფლანი, სწორედ ცუდად მოიქცევა, რადგან ჰამლეტი და ლირი მსოფლიო ტიპებია და თავისი სახელიცა აქვს და გვარიც. ეს, გაუკეთესება-კი არა, დამახინჯება იქნებოდა და თვით ოსტროვსკისაც რომ გადმოეთარგმნა ჰამლეტი და ლირი, სახელებს ხელ-შეუხებლად დასტოვებდა. ან განა შეიძლება-კი კაცმა „გზა-დაკარგულნი ცხოვარნი“ ჰამლეტსა და ლირს შეადაროს? ეგ ხომ „მსხალი პანტას შეადარე, მალაჩინი—მაყალოსაო“ გამოვა. ზიაბლიკოვი და კავორონკოვი ისეთი უფერული ხალხია, რომ ყველა ცხოვრებაში ბევრი მოიპოვება. ქართველთა შორის ხომ ზიაბლიკოვს ათასამდე დაასახელებთ, და აი კიდეც ამიტომ შეიძლებოდა გადმოქართულებულიყო, კიდეც ამიტომ ვსთქვით ჩვენს რეცენზიაში, რომ ამ პიესას ადვილად შეიძლება მწერალმა ქართული ელფერი დასდოსო. თუ ისეთი გადმომკეთებელი გამოგვიჩნდება, რომ თუნდა „რევიზორს“ გადმოიღებს ქართულად, ამ გეგმაზე სხვა პიესას დასწერს და ქართველს «ხლესტაკოვს» შეჰქმნის, სწორედ დიდი ბედნიერება იქნება. ბ-ნს ჯაბ—რს არ უნდა დაავიწყდეს, რომ მხოლოდ იმ პიესის გადმოქართულება შეიძლება სახელების გამოცვლით, რომელშიაც გამოყვანილ გმირების ხასიათი ქართველთა ხასიათისაგან არაფრით განირჩევა.

ბოლოს ბ-ნი ჯაბ—რი ამბობს, რომ სცენიდგან გაგონილის პიესის ენის მხრივ დაფასება არ შეიძლებაო. რა იცის, თუ მარტო სცენიდგან გაგონებულით დავაფასეთ? რატომ იმ პიესას არა ჰნახავს, რომელიც არტისტებსა აქვთ ხელში? თუ გადამწერმა დაამახინჯა, ეგ ჯაბ—რმ მოჰკითხოს და ჩვენ-კი იმასავით გულთმისანი ხომ არა ვართ, რომ ადრევე მივხვდეთ, რომელმა გადამწერმა რა ჩაურთო პიესაში თავისი და რა გააკეთა, ან რა გააფუჭა, მით უმეტეს, რომ ვგონებთ ის პიესაც თვით ბ-ნ ჯ—რის ხელით არის გადაწერილი, რომელიც არტისტებსა აქვთ?

რაც შეეხება იმას, რომ «ივერიის» რედაქციამ არ დამიბეჭდა ეს წერილიო, რედაქციამ იმიტომ არ დაჰბეჭდა, რომ თავის წერილში ჯ—რი არსებითს არაფერს შეეხებოდა და იმისი პასუხი უფრო უბრალო თავ-მოყვარეობას გამოეწვია. ყველა მაგისთანა წერილი რომ ჰბეჭდოს რედაქციამ, მთელი გაზეთი იმას მოუნდებოდა და პასუხის პასუხებს ვიღა აუვიდოდა.

მანოელიძე

## ნარკვევი

(ჟურნალ გაზეთებიდამ)

ახირებული მწერლები მრავლდებიან ჩვენს გაზ. „თეატრში“. ისე ნომერი არ გამოვიდეს ამ სვე-უბედურის გაზეთისა, რომ ახალმა მწერალმა არ გამოჰყოს თავი, რომელიც პრტყელ-პრტყელის სიტყვების მთელს ტრაქტატს დაგახლის თავზედ. თვალებ-გამოჭყეტილი შესცქერი და ვერ გაგიგია, რა უნდა, რას ამბობს, რისას მოგითხრობს. იმის ლაპარაკი „ჰოც“ არის, „არაც“ და უფრო-კი არც „ჰოა“ და არც „არა“. ერთის სიტყვით, რაღაც გამოდის და არც არაფერი გამოდის-რა, უფრო-კი დაწერილია მარტო წერისათვის და არა რისამე სათქმელად. ზოგან ყვითელ, ზოგან წითელ, ზოგან ალის ფერიაო, რაღა. კითხულობ, სიტყვები ქართულია, უკვირდები, ერთი-ერთმანეთზედ ლამაზად არის მიწყობილი, ჩაუფიქრდება და არაფერი გამოდის. გამოცანაა და მერე ისეთი, რომ არც თავი აქვს, არც ფეხები, არც სხეული, და ლაპარაკობს-კი, დადის, უშველებელი დიპი გადმოუშვერია. ერთი ამისთანა წერილი „თეატრის“ მე-43 და 44 №-შია დაბეჭდილი და ეწოდება „ტემები დრამისათვის“. აი ზოგიერთი ნიმუში თქმისა და არა თქმისაც ერთად. ავტორი ვიღაცას მიჰმართავს და შემდეგს მწარე სიტყვებს ეუბნება:

თქვენს თვალებს გადაჰფარვია მხოლოდ ბოროტება იგი, რომელ არს შექმნილ ხელითა ბიძიშენის ყარამან ყათლანისათა...

ნეტა ვინ არის ეს ბიძა ყარამან ყათლანი და ან რა ბოროტება შეჰქმნა ამ ახირებულმა კაცმა ისეთი, რომ ვიღაც იმის ძმისწულს გადაჰფარვია?

ვინაიდგან არა უწყით ნამდვილი ბუნება და გზა იმისი, ნაცვლად შესაფერი წამლის მოძებნისა, ამოჰფარებიხართ ზურგს უკან კალთათა იმის სამოსლისათა (სამოსლის კალთასაც ზურგი ჰქონია, აი დასწყევლოს ღმერთმა!), აკეთებთ ასკიკუკასა, ყულფთ უკანიდამ ენას, ელრიდებით უცნაურის სახით...

ის-კი მიდის თავისუფლად თავის გზაზედ, მიგათრევთ თქვენც თანა და თქვენ თვალ-წინ, მთიდან წამოსული ზვავივით, რამდენსაც მიჰგორავს, იმდენი უფრო და უფრო იზდება და გახვევთ თქვენც თავის უზარმაზარს ტავარნაებში (?)...

ვინ მიდის, ვის მიათრევს, რა ამბავია?!

დიახ, თქვენ, ნათესავ-დავიწყებულნო, თქვენ დახუჭეთ თვალები წინაშე ისტორიისა და წინაშე მიმდინარე ცხოვრებისა, გახადეთ საგინებლად ის გზა, რომელიც ცდილობდა შაესწავლა ისინი და „განემწვალა“ ნათელი ბნელისაგან.

გზა სცდილობდა ისტორია და მიმდინარე ცხოვრება შეესწავლა და ნათელი ბნელისაგან „განემწვალა“? საოცარი გზა ყოფილა!

მართალია, მხნეო თეოფილე, შენცა, უნათესაო მელქისედექსაც, ყორყ დე-პარისაც, იონა გზა-დაბნეულსაც და „მებრ“ სხვათა დასწვეს გული მეუღლეთა თვისთა, მაგრამ... მაგრამ... რაღა იყავ შენ, როცა მუხლ-მოდრეკილი უცხადებდი სიყვარულს სიცოცხლით სავსე, უმანკო სელამიტს, „ასულსა ამინ ადამისასა?..“ აღარც ჯანჯაფილი, აღარც ექსტრაქტ-დომიანი, აღარც ლექსები ბარკოვისა, აღარც რომანები ზოლასი, არც სურათები პარიჟის ყავახანებისა აღარა შველოდნენ შენს უდროვოდ ჩაფუშვილს ჯანს.

გაიგეთ რამე, მკითხველო! თუ არა, საკვირველიც არ იქნება, თუ გაიგეთ-და, დიდება თქვენს გამჭრიახს გონებას. ჩვენ-კი, ვღიარებთ, ვერა გავიგეთ-რა ამ «თეატრის» მეორე „შერეკილისა“. ეს კიდევ რა, მთელი წერილი უნდა წაიკითხოთ, რომ სრულის მშვენიერებით დასტკბეთ. რამდენიც შორს მიდის, ავტორს „შერევა“ უფრო და უფრო უძლიერდება, თანდათან ედება და დავთარ-დაბნეული გაჰკივის:

და დაჰფარა ბნელმან იოთამ და დაემკიდრა მაგნე სახლსა მამისა იოთამისასა... და შვა იოთამ იოვანე, იოვანემ შვა იორამ, იორამ შვა იოსებ, იოსებ შვა გორჯასპ, გორჯასპ შვა ალფებ და ძმანი მისნი ურთ მელქისედექ ნათესავ-მოუხსენებელისა, იონა გზა-დაბნეულისა, ლეპრ ის დე ყორყიენ...

მაგრამ კმარა! ამ ოცრო-ბოდოსა და აბდა-უბდას ავტორი ვიღაც განდეგილი ისეთს მასალას უწოდებს თავის წერილს, რომლიდგანაც დრამაც გამოიჭრება თურმე, კომედიაც, ტრაგიკომედიაც, ტრაგედიაც, ინტერმედიაც, ოპერაც, ვოდევილიც, ოპერეტიც, მისტერიაცა და ფეერიაც... საბრალო განდეგილი, ალბად განდეგილობის დროს თუ ეწვია ეს უბედურება გაზეთ «თეატრის» რედაქციაში რაღა სულ „შერეკილები“ შეყრილან, რა ამბავია, რა ვქნა, შარკოს ხომ არ ჩამოუყვანია თავისი ავადმყოფები ტფილისში და ჩვენშიაც ხომ არ გაუმართავს სულით ავადმყოფთა სამკურნალოს განყოფილება?!.

## წვრილი ამბები

საფრანგეთის აკადემიაში ემილ ოჟიეს ადგილას ცხრამდე კანდიდატი ითვლება თურმე.

— ამას წინად პარიჟის სამკურნალო საზოგადოებას ლაპარაკი იმას შესახებ ჰქონია, რომ უნდა შეინახოს და დაიცვას თუ არა ექიმმა ავადმყოფის საიდუმლოვო. ეს ლაპარაკი იმას გამოუწვევია, რომ როცა ერთი ექიმი პარიჟის სასამართლოში მიუწვევიათ, გვიამბე შენის ავადმყოფ ქალის ამბავი, ექიმს არა უთ-

---

გრამ ახალგაზრდა პონშარი-კი ხარხარებდა და ეს ძალიან მოსწონდა მამაჩემსაც: აი, სტუმარი ამისთანა მიამებაო!.. ქრისტიანულად კიდეც იცინიან, კიდეც ჩხუბობენ და სიტყვა-პასუხიც ადამიანური აქვთო!.. სადილობაში სულ სხვა-და-სხვა გვარს მუსაიფში გაატარეს დრო. სადილად მასპინძელიცა და სტუმრებიც გამხიარულდნენ. მამაჩემმა დასცალა თასი და გადაუგდო პონშარს, დაიჭი და იმ შენის საყვარლის სადღეგრძელო დალიე, იმისი, წუხილი რომ ესარჩლებოდიო!.. სტუმარმა მარდად დაიჭირა თასი და პასუხად ეს უთხრა: მე რომ ჩემის საყვარელის რესპუბლიკის სადღეგრძელო დავლიო, ამ ჩემს მეგობარ-ამხანაგს ეწყინება, რადგანაც ბონაპარტიელიაო!.. განა იმის სადღეგრძელოს-კი არ დაელევთო, უპასუხებდა მასპინძელი... მაგრამ არ იქნა, აქაც ვერ შეთანხმდნენ სტუმრები და ბოლოს ესა სთქვა ბაზილმა... მართლაია, ჩვენ, ფრანცუზებს, სხვა-და-სხვა პოლიტიკური რწმუნება გვაქვს, მაგრამ ყველას ერთად-კი მაინცა გვყავს ერთი საზოგადო საყვარელი, ე. ი. სამშობლო ქვეყანა, და თუ თქვენი ნება არის, იმის სადღეგრძელოს-კი დაველევთო. მამაჩემს ისე მოეწონა ეს, რომ ჩუმად მეკითხებოდა: კოცნა არ იციან მაგათშიო?.. ღმერთმა აკურთხოს თქვენი ქვეყანაც და თქვენი ხალხიცაო, მაგრამ ვაი თუ იქაც პეპელების დევა იცოდნენო!.. ღიმილით უთხრა სტუმრებს და ძალზედაც გამხიარულდა.

რამდენსამე დღეს დარჩნენ ჩვენსა სტუმრები და მამაჩემი ისე მიეჩვია, რომ ხანდახან მუნჯურადაც-კი ანიშნებდნენ ხოლმე ერთმანეთს... მასპინძელი ჩვენის ძველების ამბავს მოუყვებოდა ხოლმე თარჯიმანის პირით და სამაგიეროდ იმათაც ათქმევინებდა. განსაკუთრებით ბონაპარტის ამბები და ომები მოსწონდა ხოლმე. როდესაც ბორდოელებმა წასვლა დააპირეს, მთხოვეს, რომ პირობა შემეკრა მათთან შავი-ქვის შესახებ, მაგრამ რადგანაც მამულები მამიჩემისა იყო, კანონით იმასთან უნდა შეეკრათ პირობა. აქაც ერთი ახირებული ამბავი მოხდა. სხვათა შორის პირობაში ისიც იყო მოხსენებული, რომ წლამდე ჩვენ სხვას ვერ გადავცემდით მადანს სამუშაოდ და თუ ამ ხნის განმავლობაში ისინი აღარ მოვიდოდნენ, მაშინ-კი ხელ-გახსნილი ვიქნებოდით. ხელის მოწერაზე რომ მიდგა საქმე, მოხუცმა მასპინძელმა იწყინა და ასე სთქვა: „ეგ რაღა საჭიროა? თუ სიტყვას ძალა დაუკარგავს და სანდო აღარ არის? თუ კი ვინმე იმ ღვთის მოცემულს ნიჭს ენას უმტყუნებს და სიტყვას გასტეხს, კაცის ხელით გაკეთებულს მაგ პატარა ქაღალდს რაღად იწამებსო! აბა მე ძველი კაცი ვარ, ჩვენის მეფეების მომსწრე, და ისე ვწირავ, როგორც დღემდი მიწირავსო. მე ჩემს სიტყვას არ შევშლი და თქვენ თქვენი იცითო“, ესა სთქვა და დასამტკიცებლად ულვაშზე გადაისვა ხელი. ფრანცუზები გაოცებით მისჩერებოდნენ, და როდესაც მე ავუხსენი მათ, თუ რას ნიშნავდა ჩვენში ძველად ულვაშზე ხელის გადასმა და რა დიდი აღთქმა იყო, ბაზილმაც მაშინვე, თავის მხრითაც, დარბაისლურად გადაისვა ხელი ულვაშზე და ახალგაზრდა პონშარმა-კი სიცილით სთქვა: „მე რომ ჯერ არც-კი მეტყობა ულვაში, არ უნდა გადავისვა ხელიო?“ მაგრამ მასპინძლისაგან ეს პასუხი მიიღო: «ვისაც ულვაში სწამს, ის არც საულვაშეს უღალატებსო!» და გადაასმევინა ხელი. ამით გათავდა იმათი პირობა და ხელ-შეკრულობა!..

წლის განმავლობაში ყოველ დღე მოუთმენლად ელოდა მამაჩემი თავის ნაცნობ სტუმრებს, ერთი წელიწადიც კიდევ პაემანზე მეტი ულოდა და, რომ მაშინაც აღარ მოვიდნენ, როგორღაც დაფიქრდა... ამასობაში სხვებმა, ვისაც კი ჰქონდა შავი-ქვა, მუშაობა დაიწყეს და ჩვენ-კი მხოლოდ ბორდოელების შემჩერე ვიყავით.

ერთხელ ჩემმა უფროსმა ძმამ მოახსენა მამას: „ბატონო! ქვეყანა გაკეთდა ამ შავის ქვით და ჩვენ-კი ვსხედვართ გულ-ხელ დაკრეფილი და ფრანცუზებს ვუცდითო!.. ევებია ახლა ისინი ცოცხალიც აღარ იყვნენო!.. ამას წინად რომ ომი ჰქონდათ გერმანიელებთან, შეიძლება იმ ომში მოჰკლესო!“ ჰმ, სწორედ მაგრე იქნება, მამაჩემი ნუ წამიწყდება... თორემ, მე რომ ის ხალხი მიცვნია, ცოცხალი პირობას როგორ გასტეხდნენო. ვაი, საცოდავები, უთუოდ მოუკლავთ და მით უფრო აღარ გვმართებს პირის გატეხაო!.. იმ კაცს ქვეყნისათვის თავი დაუდვია და რომ ვუმტყუნო, რაღა პირით შევხვდე იმ დიდ-სოფელსო? ეს შეიმცხადა როგორც ნამდვილი ნათესავები და მეგობრები და ბოლოს, როცა მოიმგლოვა, იკითხა: იქაურის კანონით ხომ შვილები იქნებიან მათი მემკვიდრეები და ყოველ გვარი მოვალეობაც შვილებზე გადადისო. ჩვენ დასტური მივეცით, მაგრამ ესეც-კი დავამატეთ, რომ ულვაშების მემკვიდრეობა არ იციან იმ ქვეყანაში-თქო. არაო, მე მაინც ობლებს უნდა მოვუცადო, სანამ დაიზრდებოდნენო, სთქვა და გაათავა. სიტყვის შებრუნება ტყუილი იქნებოდა.

მას შემდეგ რამდენიმე წელიწადი იცოცხლა მამაჩემმა და ვინც უნდა მოსულიყო, შავ-ქვაზე ყველას ამას ეუბნებოდა. «სხვასთან მაქვს საქმე დაჭერილი და გათავებულიო!» როცა კვდებოდა, მიმიხმო და მითხრა: „შვილო, ერთი ანდერძი მინდა დაგიგდო და შემისრულეო! სანამ ობლები არ დაიზარდნენ, შავ-ქვას ნურავის გადასცემო!“ ჯერ არ გასულა ოც და-ერთი წელიწადი, ნიშანი სრულ-წლოვანებისა, და მეც ვიცდი. როდესაც ზოგიერთები თითქმის ჩემს გასაგონად იტყვიან ხოლმე: „ვინ პოეტი და ვინ შავი-ქვაო!.. დაიწყო და ბოლო-კი ვეღარ გაატანაო. აღარც თითონ მუშაობს და აღარც უნდა სხვას გადასცეს ის შავი-ქვაო!“ მეც ამას გავივლებ ხოლმე გუნებაში: „დიახ, პოეტების საქმე ქვა-კი არ არის, გულია! კარგად ვიცი, რომ იმ ორის ბორდოელის მემკვიდრეები არ მოვლენ, მაგრამ რა ვქნა, რომ მამაჩემის უკანასკნელი ნაანდერძევი სიტყვა მაინც რჯულის კანონად მაჩნია გულის ფიცარზე!.. გავტეხო?.. არა... დეე, სხვების მცნება ჯერ ფული იყოს და მერე გული. მე-კი პოეტების გიჟურს მცნებას ვერ ვუღალატებ: ჯერ გული და მერე ფული!

აკაკი

ქვამს რა და ჯარიმა გადაუხდევინებიათ. აი ამ ექიმს მიუმართავს სამკურნალო საზოგადოებისათვის და უკითხავს, კარგად მოვიქეცი, რომ არა ვთქვი-რა, თუ არაო. სპეციალისტები იმ აზრს დასდგომიან, რომ დედა-აზრისა და კანონთა თანახმად ექიმს საიდუმლოდ უნდა მიაჩნდეს ყველა, რაც უნახავს, გაუგონია და ან შეუნიშნავს ავადმყოფისას, თუნდა ავადმყოფს არც-კი ეთხოვნოს, რომ ყველა აქ ნახული საიდუმლოდ შეინახეთო. ექიმი მოვალეა სასამართლოსაც დაუფაროს ეს ამბავი და ისიც-კი არ გაუმჟღავნოს, რომ ამა-და-ამ ავადმყოფს მე ვწამლობდიო, რადგან მარტო ესეც-კი საკმარისია ხშირად, რომ მიხვდნენ მოსამართლენი, რა სენი ჰქონია ავადმყოფს, მეტადრე თუ ექიმი სპეციალისტია და მხოლოდ ერთს რომელსამე სატკივარსა სწამლობსო.

— გამოჩენილმა იტალიის მმარხულემ სუჩჩიმ ამ დღეებში ბრიუსელში კვლავ ოც-და-ათის დღით დაიწყო თურმე მარხულობა. ამ რამდენისამე წლის წინად, როცა ამერიკელმა ექიმმა ტანნერმა თავისი აღთქმული სიტყვა აასრულა და რამდენსამე კვირას ნაწილი არ უნახავს, ისე სცხოვრობდა, ერთმა ბრიუსელელმაც მოინდომა მიებაძა, მაგრამ პირველსავე დღეს თავი დაანება თავისს განზრახვას და საჭმელი მოითხოვა თურმე. მიუტანეს, ეს კაცი მალზედ მიაძღა და გარდაიცვალა.

— აბა საქინძისთაო საჩუქარი ეს არის, აი! 18 წლის ქალი ქ ნ რატაცცისა ამას წინად ერთს მდიდარს ისპანიელზედ დაუნიშნავთ. ეს ისპანიელი ხუროდ-მოძღვარი და დეპუტატი ლიუის ვილლიანოვ კუადრაა. საქმროს თავისს მომავალ მეუღლესათვის საქინძისთაო ხარჯად ორის პლანტაციის შემოსავალი უჩუქებია, რომელიც ჰავანნში ჰქონია. ამ პლანტაციების ყოველ-წლიური შემოსავალი 15—20 მილიონს უდრის თურმე.

— «Figaro» ამბობს, რომ ბრაზილიაში მეფობის გაუქმება და რესპუბლიკურის წეს-წყობილების შემოღება ისე არავის სწყენია პარიჟში, როგორც ერთს მკერვალ ქალს, რომელიც ბრაზილიის იმპერატრიცის მკერვსუტეს წოდებას ატარებდაო. მაგრამ ამ ქალმაც სხვა ხერხი იხმარა, ეხლა თავისი სადარბაზო ბარათი შესცვალა და ასე დააწერა: madme X. ბრაზილიის რესპუბლიკის მკერვსუტეო.

— ყველაზედ შეძლებული ქვრივი სამხრეთ ამერიკაში სცხოვრობს თურმე, ვალპარისოში. ამ ქვრივს დონნა ისიდორა ეწოდება და ნახევარ მილიარდის მანეთის შეძლება აქვს.

## დეპეშა

15 დეკემბერი

პეტერბურგი. გამოცხადებულია ცვლილება დერპტის უნივერსიტეტის წესდებისანი. შეცვლილი ადგილები წესდებისა შეეხება არჩევანს დეკანისას, რექტორისას, პრორექტორისას და პროფესორებისას.

გამოცხადებულია წესდება ძმათა ტელლენევების მიერ დაარსებულ რიაზანის ამხანაგობისა, რომელსაც აზრად აქვს კეთება სამეურნეო იარაღებისა და მაშინებისა.

პარიჟი. იმ მოარულს, რომელსაც პირველში ზარალი არა მოჰქონდა-რა, ახლა ხშირად ზედ ერთვის ფილტვების ანთებაცა. სამკურნალონი გავსებულია ავადმყოფებით, ისე რომ უადგილობის გამო ახალს ავადმყოფებს უარს ეუბნებიან. წარსულს კვირას 200 კაცი მეტი გარდაიცვალა, ვიდრე წინა კვირას.

ლონდონი. ხმებია, თუმცა ჯერ-კი არ გამართლებულა ის ხმები, რომ ბრიტანიის ხმელთა შუა ზღვის ესკადრის ჯავშნიან ხომალდებს ებრძანათ, ბალტიიდამ ლისაბონს წადითო.

ავღანისტანში დიდი ამბოხებაა ემირის საწინააღმდეგოდაო.

16 დეკემბერი

პეტერბურგი. ჟურნალი „Вѣстникъ Европы“ პირველად გაფრთხილებულ იქმნა იმის გამო, რომ რამდენსამე წერილში ცუდად მოიხსენია მთავრობის უმესანიშნავესი განკარგულება. აგრეთვე ვ. სოლოვიევის წერილებისათვის, რომელიც რუსულ ეკკლესიასა და სამღვდელოს ცუდად ჰხატავს და ადამიანს იმათ საფუძვლისა და საზოგადოდ რუსეთის ერის დედა აზრის პატივის ცემას უკარგავს.

ახალწლიდგან სამარყანდში პოლტორანოვის მიერ გამოცემული იქნება ახალი გაზეთი „Окраина“.

პეტერბურგის ბირჟა, 15 დეკემბ.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაიყიდა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — „ | „ | 7 44 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — „ | „ | 148¼ |
| მანათიანი ვერცხლის ფული . . . . | — „ | — „ | 1 11 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . | 253½ | — „ | — „ |
| —მეორისა . . . . . | — „ | — „ | 229¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | 97½ |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — „ | — „ | 97½ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . | 84¼ | — „ | — „ |


## განცხადებანი

წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების

### წიგნთ-საწყობში

(Дворцовая ул., Караванъ Сарай Земельн. Банка, № 102).

ისყიდება ყოველ გვარი წიგნები, რაც დღემდის დაბეჭდილა ქართულს ენაზე და გასასყიდად კიდევ მოიპოვება, და გარდა ამისა ახლად შეძენილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| გლახის ნაამბობი, ილ. ჭავჭავაძისა . . . . . | „ | 25 |
| მეფე ლირი, თარგ. ილ. ჭავჭავაძისა და ი. მაჩაბლისა ინგლის. . . . . | „ | 60 |
| თხზულებანი ნ. ზ. ანტონოვისა: . . . . . | 1 | „ |
| ისტორია საქართველოსი, დ. ბაქრაძისა . . . . . | 1 | „ |
| მოკლე დარიგება ხეხილების გამრავლებაზე სურათებით, „მეურნეს გამოცემა“ | „ | 20 |
| ქართული თეატრი, ვ. გუნიასი . . . . . | „ | 40 |
| ბედი უბედურთა, მოთხრობა ნ. ლომაურისა. . . . | „ | 15 |
| პატარა მოამბე, წიგნი II, ალ. მირიანაშვილისა, იმავ საზოგადოების გამოცემა | „ | 10 |
| **Я. Гогебашвили.** Руководство для учителей и учительницъ грузинскихъ начальныхъ школъ къ преподаванію по книгѣ того же автора „Русское Слово“. . . | „ | 50 |
| გაყა-ფშაველა, მოთხრობანი, „წერა-კითხვის საზოგადოების“ გამოცემა . . | „ | 30 |

სამეურნეო გაზეთი

### „მეურნე“

გამოდის კვირაში ერთხელ.

გაზეთი „მეურნე“ მომავალს 1890 წელს გამოიცემა იმავე პროგრამითა და სიერცით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

გაზეთის ფასი:

| თბილისში | | თბილისს გარეთ | |
|---|---|---|---|
| 1 წლისა . . . | 4 მ.— | 1 წლისა . . . | 5 მან. |
| ½ „ . . . | 2 მ. 50კ. | ½ „ . . . | 3 მან. |

ცალკე №—15 კაპ.

განცხადებანი მიიღებიან გაზეთში დასაბეჭდად ყველა ენაზედ, სტრიქონი 10 კაპ. უკანასკნელს გვერდზედ და 20 კაპ. პირველ გვერდზედ.

გაზეთის დაკვეთა შეიძლება: „კავკასიის სამეურნეო საზოგადოების“ კანცელარიაში და თვით რედაქციაში, რუეტის ქუჩაზედ, სახლი № 10.

ქალაქს გარეშე მცხოვრებთ უნდა მიჰმართონ თითონ რედაქციას შემდეგის ადრესით: Тифлисъ, въ редакцію газ. „Мэурнэ“.

გაზეთის გაგზავნის გამო რედაქცია პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის ხვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში წარმოადგენს.

მრავლისა და სხვა-და-სხვა გვარის

### სათამაშოების გამოფენა

იქნება

საცენტრალო გალანტერეის მაღაზიაში,

რომელიც იმყოფება ერევნის მოედანზედ, ზუბალოვის სახლში, სკვერისა და სემინარიის პირდაპირ.

იქვე

მრავლად და იაფად ისყიდება

ყოველ გვარი ხაგალანტერეო და სატუალეტო ნივთი, თეთრეული, ხელსახოცი, ქერხე, ფუფეიკა, ფრანგის ამხანაგი, ლამპა, ჭურჭელეული, ალბომი და მრავალი სხვა (10—2)

### კოკორი

ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი, მეათე შეცვლილი გამოცემა.

დაიბეჭდა „წერა-კითხვის საზოგადოების მიერ“ და ისყიდება ამ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში, სასახლის ქუჩაზედ, ბანკის ქარვასლაში. ფასი 10 კაპ.

ვინც ერთბაშად იყიდის არა ნაკლებ ათის ცალისა, წიგნი დაეთმობა ცხრა კაპეიკად, ვინც იყიდის ასს, ან მეტს ეკზემპლიარს, წიგნი მიეცემა რვა კაპეიკად.

ტფილისს გარეშე მყიდველთ უნდა მიჰმართონ წიგნის მაღაზიას ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Дворцовая улица, Карванъ-Сарай Земельнаго банка, № 102.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

### ივერია

1890 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვეით . . . | 10 მ.—კ. | 6 თვეით . . . | 6 მ.—კ |
| 11 „ . . . | 9 „ 50„ | 5 „ . . . | 5 „ 25„ |
| 10 „ . . . | 8 „ 75„ | 4 „ . . . | 4 „ 70„ |
| 9 „ . . . | 8 „ —„ | 3 „ . . . | 3 „ 50„ |
| 8 „ . . . | 7 „ 25„ | 2 „ . . . | 2 „ 50„ |
| 7 „ . . . | 6 „ 50„ | 1 „ . . . | 1 „ 75„ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ანუ საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

### დედა ენა და ბუნების კარი

ახლად დაბეჭდილნი „წერა-კითხვის საზოგადოების“ მიერ

ისყიდება

„საზოგადოების“ კანცელარიაში.

ბუნების კარი უცვლელად არის დაბეჭდილი, დედა-ენა-კი შეცვლილი და შევსებულია ახალი მოთხრობებით, ლექსებით და სურათებით. ფასი უწინდელია, ესე იგი „დედა-ენა“ ღირს ექვსი შაური (30 კაპ.), ბუნების კარი—თხუთმეტი შაური (75 კაპ.).

ვინც ერთბაშად ნაღდ ფულზე იყიდის ოც-და-ათ ცალს დედა-ენისას, თითო წიგნი დაეთმობა ხუთ შაურად (25 კაპ.); ვინც იყიდის ათს ცალს ბუნების კარისას ნაღდსავე ფულზე, თითო წიგნი დაეთმობა თოთხმეტ შაურად (70 კაპ.), ვინც ოც-და-ათს ცალსა,—ცამეტ შაურად (65 კაპ.), ვინც ასსა და მეტსა,—სამ აბაზად (60 კაპ.).

ვისაც ჰსურს ყდაში ჩასმული წიგნი იყიდოს, თითო წიგნზე კიდევ სამი შაური უნდა დაუმატოს.

ვინც ტფილისის გარეშე წიგნს დაიბარებს, გასაგზავნი ხარჯი თვითონ მყიდველმა უნდა იკისროს.

მყიდველებმა ამ ადრესით უნდა მოჰმართონ კანცელარიას: Тифлисъ. Въ канцелярію Общества грамотности, Дворцовая ул., домъ Зем. Банка, № 102.


Доз. ценз. Тифлисъ 16-го Декабря, 1889 г. სტამბა ე. გ. მესხისა. (Типографія Е. Г. Месхи. пом. Т. Д. З. Банка на Фрейлинской ул.). რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.